



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ. ოზურგეთი

N 19  
22/08/2017

19-03-4-201708221159



დადგენილება №19  
21 აგვისტო 2017 წელი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა,  
საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი  
ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების  
ოდენობების განსაზღვრის შესახებ

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 25-ე მუხლების და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

და ა დ გ ი ნ ა :


**მუხლი 1.** განისაზღვროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განისაზღვროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №2-ის შესაბამისად.

**მუხლი 3.** ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის N38 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 20/11/2014, 190040000.35.171.016038).

**მუხლი 4.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
ხელმძღვანელობა